



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N5

ქ.ლანჩხუთი

10.03.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო უფრცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამზრდელი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დავით წულაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით,

საკრებულოს წევრთა მოთხოვნითა და გამგებლის წინადადების საფუძველზე. დღის წესრიგში შეტანილ იქნა ის საკითხები, რომლის მიღებაც კანონის მოთხოვნას წარმოადგენს, კერძოდ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჭიროა 1 აპრილამდე გარკვეული ნორმატიული აქტების დამტკიცება, ამიტომ მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ამასთანავე, მიზანშეწონილად მიიჩნია რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილიყო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების პროექტი, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია მთავრობის რეკომენდაცია, მისი განხილვა და კორექტირების შეტანა რიგგარეშედ უნდა მოხდეს.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით რიგგარეშე სხდომის ფორმატში განხილულ უნდა იქნას საკითხი, რომელიც ეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს, ვერიკო კვიციანიას დამსწრე საზოგადოებასთან ერთად მიულოცა მესამე შვილის შექმნა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

4. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

5. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ეს პროექტი მომზადდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალებათ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის, დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებისა და დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებისა და დადგენის მიზნით, 2017 წლის 1 აპრილამდე შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება. აქედან გამომდინარე, მომზადდა „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ნორმატიული აქტის სახით, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვადის** თქმით, 10 მარტს, 12 საათზე წყდება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი - ტარდება გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან გრფფ-ის ოფისი მდებარეობს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში, ხოლო არჩევნები ტარდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ამიტომ მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თითოეულ წევრს, სხდომის დასრულებისთანავე ჩავიდნენ ოზურგეთში და შეხვდნენ პრეზიდენტობის კანდიტატს, რათა არ დაუშვას გრფფ-ის ოფისის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გადატანა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე განსახილველად გამოდის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რადგან საქმე ეხება მომავალ თაობას. მას, როგორც საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გააჩნია გარკვეული შენიშვნები, რადგან ისინი ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. კერძოდ, ხდება დუბლირება - სტრუქტურული ერთეული უნდა შეიქმნას ან მუნიციპალიტეტის გამგეობაში ან ა(ა)იპ - ის სახით, რაც არ ჩანს აღნიშნულ ნორმატიულ აქტში. ასევე გაურკვეველია, ვინ იქნება მაკონტროლებელი. არ ჩანს

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია. ამასთან გაუგებარია, თუ ვის უწესდება ეს მოთხოვნები. ნორმატიული აქტი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის არ არის, არამედ იგი მრავალჯერადი გამოყენებისაა. წარმოდგენილ ვარიანტში სასკოლო მზაობის პროგრამის მიმწოდებელი, ბავშვებისათვის სწავლებისა და აღზრდის დაწესებულება ბუნდოვნადაა განმარტებული. დეპუტატის აზრით, ეს საკითხები მოითხოვს ძალიან სიღრმისეულ და გულისყურით განხილვას თითოეული საკრებულოს წევრის მიერ. ამიტომ, მას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდეგაც დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები აუცილებლად იქნება წარმოდგენილი.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარის, **ჯუმბერ ბლაგიძის** თქმით, ის ეთანხმება კოლეგებს, რომ წარმოდგენილი საკითხი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ გარკვეულ თემებზე მთავრობის მიერ არ გახლავთ ნორმატიული აქტები მიღებული, რაც თავის მხრივ გასათვალისწინებელია.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

**მომხრე: 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 18 (10.03. 2017 წელი).**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტში ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ძირითადი პრინციპები, მიზნები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შიდა მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მიზნით. შიდა მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის პარალელურად თავად დაწესებულების მიერ და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ანგარიშგებას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 19 (10.03. 2017 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 20 (10.03. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პერსონალის პროფესიული სტანდარტი არის პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალი. სტანდარტი განსაზღვრავს დაწესებულების პერსონალის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს საკუთარი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 21 (10.03. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1. განათლება:

ფლობს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერი მიმართულებით, აქვს დაწესებულებაში მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება ან განათლების ადმინისტრირების კუთხით 5 წლიანი გამოცდილება. სასურველია ფლობდეს სასერთიფიკატო პროგრამებს ადრეული განათლების, ლიდერობის, განათლების ადმინისტრირების, ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

2. ცოდნა:

ა) იცის საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

ბ) იცის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული სტანდარტები (საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურის, წყალი, სანიტარია, ჰიგიენის, კვების);

გ) იცის ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;

დ) იცის ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;

ე) იცის ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;

ვ) იცის ბავშვის უფლებათა კონვენცია;

ზ) იცის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრინციპები; ინკლუზიური განათლების პრინციპები;

თ) იცის ბავშვის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები; ი) იცის ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები;

კ) იცის ორგანიზაციული ქცევის თეორიული საფუძვლები; ლ) იცის ლიდერობის თანამედროვე თეორიები;

მ) იცის საქართველოს შრომის კოდექსი;

ნ) იცის ფინანსური მართვის საფუძვლები.

3. ტექნიკური უნარები:

ა) ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს: Word, Excel, Power Point.

ბ) შეუძლია ელექტრონული დოკუმენტაციის და ელექტრონული პორტალის წარმოება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მიმართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, დავით წულაძეს, ხომ არ ჰქონდა პროექტებთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადებები, რაზეც დავით წულაძემ აღნიშნა, რომ მას შენიშვნები არ გააჩნია.

გარდა ამისა, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროებს სიღრმისეულ განხილვას. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს, რომ დროულად ჩაატარონ კომისიებისა და ფრაქციების სხდომები და შეისწავლონ აღნიშნული საკითხები, რათა მოხდეს მათი განხილვა და შესაბამისად, გამოთქმული შენიშვნებისა და

წინადადებების დროულად წარმოდგენა. ამასთან, მან მიმართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, დავით წულაძეს, რომ საკითხების განხილვასთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში მიმდინარე სამუშაო პროცესებში აუცილებელი იქნება მისი და ცენტრის თანამშრომლების ჩართულობა.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** დარბაზში მყოფ ქალბატონებს მიულოცა მარტის ყველა ლამაზი დღესასწაული, ასევე საკრებულოს აპარატის უფროსს, ნინო ძიძიგურს მიულოცა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ ნარდის რეგიონალურ ტურნირში გამარჯვება. ამის შემდეგ, მან მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ხშირად გამგეობის სამსახურის უფროსები ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომებს, მოწვევის მიუხედავად, არ ესწრებიან. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. მან თხოვნით მიმართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, დავით წულაძეს, რომ ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მან მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ აღნიშნული საკითხის განხილვაში. ამასთან, სასურველი იქნება, რომ ფრაქციის ხდომას დაესწროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

გარდა ამისა, დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** განაცხადა, რომ 8 მარტს ჩამობრძანებული იყო გრფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი დ. მუჯირი. ამ შეხვედრაზე დეპუტატი მიწვეული იყო გრფფ -ს დამფუძნებლის სტატუსით. ცხარე კამათის დროს, რომელიც დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა, გამოიკვეთა, რომ დ. მუჯირს ავალებდნენ გრფფ -ს ოზურგეთში გადატანას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ წესდებაში ჩაიწერება „ადგილმდებარეობა- ლანჩხუთი“. დავით მუჯირმა გააკეთა სიტყვიერი განმარტება, რომ ამის თაობაზე შეთანხმებულია სფფ -თან. როგორც ცნობილია, გრფფ -ს შვიდი ხმის მიმცემი სუბიექტიდან ოთხი ხმა არის ლანჩხუთის. საკრებულოს წევრის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ეს დანაპირები არ შესრულდება, მაშინ ლანჩხუთის წარმომადგენლებმა არ უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და ყრილობა ჩაიშლება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის მკაცრად განსაზღვრული დღის წესრიგის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ მისთვისაც ცნობილია არსებული შეთანხმების თაობაზე და გრფფ -ს წესდებაში „ადგილმდებარეობა“ ჩაიწერება ლანჩხუთი, მაგრამ მისი აზრით, ამ ინფორმაციას მაინც სჭირდება გადამოწმება.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

**მომხრე: 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 22 (10.03. 2017 წელი).**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპენტენციის ფარგლებში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობის თაობაზე, წარმოადგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ძირითადად შეეხება დადგენილების ტექსტში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორიის აღნიშვნასა და სოციალური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

პროექტთან დაკავშირებით, ასევე გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზე მყოფი 170 მეორე მსოფლიო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე ვეტერანებიდან, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან C ჰეპატიტით, დაუწესდეს შეღავათი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით“ სარგებლობისას არ მოეთხოვოს წარსადგენ დოკუმენტად ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი დეპუტატი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 23 (10.03. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევალებათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. ანალიზით ირკვევა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს შეფერხებით. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება შემცირდეს 100644 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 99150 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 1494 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 70312 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 43100 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 27212 ლარით, ასევე შეუმცირდეს 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება; ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვის - 59600 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 32200 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - 10000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების - 24900 ლარით. გამგეობის ვალდებულების კლების მუხლი 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5000 ლარით (ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ ქსელის რეაბილიტაციისათვის).

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მას მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტისთვის ხმა არ მიუცია. მისთვის გასაგებია მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში შრომის ანაზღაურების მუხლების შემცირება. დეპუტატი დაინტერესდა, რომ ცნობილია თუ არა ა(ა)იპ - თვის ხარჯების მოსალოდნელი შემცირებების შესახებ, რაზეც გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ყველა ა(ა)იპ - თვის აღნიშნულ შემცირებებთან დაკავშირებით დაგზავნილია შესაბამისი წერილი და საკითხი კანონთან სრულ შესაბამისობაშია.

დეპუტატი, **გიორგი გოგუაძე** ასევე დაინტერესდა, თუ რის ხარჯზე ხორციელდება ეს შემცირებები. მისი აზრით, თუ მთავრობა მუნიციპალიტეტს შეუმცირებს ტრანსფერს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ თუ ეს შემცირება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, მაშინ თვითმმართველობებს შეუძლიათ მიიღონ ან არ დაეთანხმონ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მათ გულდასმით განიხილონ აღნიშნული საკითხი საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე და ხმა არ მისცენ ამ პროექტის დამტკიცებას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე** განაცხადა, რომ ტრანსფერის დონე არ შეიცვლება. აღნიშნული შემცირება ხორციელდება არა მთავრობის, არამედ პარლამენტის დადგენილების საფუძველზე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თავის დროზე ა(ა)იპ -თვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ იყო საკმარისი, რათა ნორმალურად განეხორციელებინათ ფუნქციონირება. მათი წარმომადგენლები აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულები აღნიშნული საკითხის განხილვაში და უნდა წარმოადგინონ ის ბიუჯეტი, რომელსაც მიმდინარე წლის ბოლომდე მოარგებენ თავიანთ საქმიანობას. დეპუტატის თქმით, ა(ა)იპ -ებმა ხარჯების მოსალოდნელი შემცირება უნდა განახორციელონ თანამშრომლების, ან ხელფასის შემცირების შედეგად, ან ვერ უნდა შეასრულონ დაკისრებული სამუშაოები. ამ კუთხით რაღაც საკითხები აუცილებლად გასარკვევი. მან აღნიშნა, რომ თავის დროზე ცნობილი იყო ხარჯების 10 % -იან კლებაზე, ამიტომ იქმნება უხერხული სიტუაცია - 10 დღის წინ გაიზარდა ბიუჯეტი, ახლა კი ხდება მისი შემცირება. დეპუტატის აზრით, საკითხი მოითხოვს გულისყურით შესწავლას. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე ძირფესვიანად მოხდეს მათი განხილვა.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მთავრობამ აიღო ვალდებულება ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით, რის განხორციელებაც დაევალა თვითმმართველობებს. მთავრობას რჩება იგივე პრივილეგიები, ხელფასები და დანამატები, სინამდვილეში კი ეს შემცირებები ხდება იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებიც დასაქმებულები არიან ა(ა)იპ - ში. თვითმმართველობის შიდა საქმეა, თუ რომელ ა(ა)იპ -ის შეუმცირებს დაფინანსებას და ეს არ უნდა მოხდეს მთავრობის დავალებით - თვითმმართველობების დაკნინების ხარჯზე. მან დეპუტატებს შეახსენა საკრებულოს წევრის, გიორგი გოგუაძის მოწოდება, რომ თვითმმართველობის უფლებათა მიიღოს ან არ დაეთანხმოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ხელაძის** თქმით, ის სრულიად ეთანხმება კოლეგებს, რომ ამ კუთხით ძალიან ბევრი საკითხია გასარკვევი, იგივე ა(ა)იპ - ებთან დაკავშირებით. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მომავალი კვირიდან საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში სიღრმისეულად განიხილონ აღნიშნული საკითხი. ამასთან, თხოვნით მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ

ლაშხიას და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს, რომ ისინიც ჩაერთონ ამ კუთხით მიმდინარე სამუშაო პროცესებში.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს გულშემატკივართა საინიციატივო ჯგუფის განცხადება. მისი თქმით, საკრებულოში 2 წლის წინ შეიქმნა კომისია ფეხბურთის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით დაიშალა. დეპუტატის აზრით, საკრებულოს არ აქვს უფლება განიხილოს საინიციატივო ჯგუფის განცხადება. ეს უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ხელაძის** აზრით, დეპუტატ გიორგი გოგუაძის შენიშვნა სამართლიანია და განმარტა, რომ საინიციატივო ჯგუფის განცხადება გადაგზავნილია მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხს.


დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

**მომხრე: 18 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი დეპუტატი (კახაბერ გუჯაბიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N24 (10.03. 2017 წელი).**

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო